მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა

მედიცინის პროგრამის 1-3 სემესტრის სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობები სწავლის დაწყებიდან პირველი 4 კვირის განმავლობაში ჩატარდება დისტანციურ ფორმატში. მე-5 კვირიდან სილაბუსით გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტები ჩატარდება არადისტანციურ რეჟიმში.

- მედიცინის პროგრამის პირველი სემესტრის საგანი - **„ანატომია კლინიკური კორელაციებით 1“** და **„ანატომია კლინიკური კორელაციებით 2“** - ჩატარდება უნივერსიტეტში, ჰიბრიდული ფორმატით (ჯგუფების მიხედვით, ნაწილი ჩატარდება ონლაინ, ნაწილი საუნივერსიტეტო სივრცეში);

- მედიცინის პროგრამის მე-3 სემესტრელებისთვის სასწავლო კურსი - **„კლინიკური უნარები - პირველადი გადაუდებელი დახმარება“** - ჩატარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში;

- მედიცინის პროგრამის მე-5 სემესტრის სტუდენტებისათვის **მოდულის სასწავლო კურსები** განხორციელდება ჰიბრიდული ფორმატით (ჯგუფების მიხედვით, ნაწილი ჩატარდება ონლაინ, ნაწილი საუნივერსიტეტო სივრცეში). სხვა ყველა საგანი ჩატარდება ონლაინ ფორმატში;

- მედიცინის პროგრამის მე-7, 9, 11 სემესტრის სტუდენტებისათვის **კლინიკურ საგნებში პრაქტიკული მეცადინეობები** ჩატარდება კლინიკებში სრულად ან შერეული ფორმატით.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა

სტომატოლოგიის პროგრამის 1-3 სემესტრის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობები სწავლის დაწყებიდან პირველი 4 კვირის განმავლობაში ჩატარდება დისტანციურ ფორმატში. მე-5 კვირიდან სილაბუსით გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტები ჩატარდება არადისტანციურ რეჟიმში.

სტომატოლოგიის პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის პრატიკული მეცადინეობები ჩატარდება შემდეგი პრინციპით:

- სასწავლო კურსი - **„ადამიანის ნორმალური ანატომია (საყრდენ-მამოძრავებელი და შინაგანი ორგანოების ანატომია) სტომატოლოგებისთვის“** ჩატარდება უნივერსიტეტში - ჰიბრიდული ფორმატით (ჯგუფების მიხედვით, ნაწილი ჩატარდება ონლაინ, ნაწილი საუნივერსიტეტო სივრცეში);

- სასწავლო კურსი **„საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევები“** ჩატარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში;

- სასწავლო კურსი: **„თერაპიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა“** ჩატარდება უნივერსიტეტში - ჰიბრიდული ფორმატით (ჯგუფების მიხედვით, ნაწილი ჩატარდება ონლაინ, ნაწილი საუნივერსიტეტო სივრცეში);

- სასწავლო კურსი: **„თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია“** ჩტარდება უნივერსიტეტში - ჰიბრიდული ფორმატით (ჯგუფების მიხედვით, ნაწილი ჩატარდება ონლაინ, ნაწილი საუნივერსიტეტო სივრცეში).

სტომატოლოგიის მე-5 სემესტრის სტუდენტებისათვის პრატიკული მეცადინეობები ჩატარდება შემდეგი პრინციპით:

- სასწავლო კურსი - **„საფანტომო ენდოდონტია“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

- სასწავლო კურსი - **„შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

- სასწავლო კურსი - **„პირის ღრუს ქირურგია“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

- სასწავლო კურსი - **„ორთოპედიული სტომატოლოგიის მასალათმცოდნეობა“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

სხვა ყველა საგანში პრაქტიკული მეცადინეობები შუალედურ გამოცდებამდე ჩატარდება ონლაინ ფორმატში, ხოლო შუალედური გამოცდების შემდეგ, ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენეტები ჩატარდება საუნივერსიტეტო სივრცეში.

სტომატოლოგიის მე-7 სემესტრის სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკურ საგნებში ჩატარდება შერეული ფორმატით. ხოლო, სხვა ყველა საგანში ჩატარდება ონლაინ ფორმატში:

- სასწავლო კურსი - **„ნაწილობრივი ადენტიის მკურნალობა მოუხსნელი ტიპის ხიდისებური კონსტრუქციებით“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

- სასწავლო კურსი - **„კლინიკური ენდოდონტია“** - ჩატარდება უნივერსიტეტში.

სტომატოლოგიის მე-9 სემესტრის სტუდენტებისათვის პრატიკული მეცადინეობები ჩატარდება შემდეგი პრინციპით:

- სასწავლო კურსი - **„პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

- სასწავლო კურსი - **„უკბილო ყბების პროთეზირება“** - ჩატარდება უნივერსიტეტში;

- სასწავლო კურსი - **„მოზრდილთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს სიმსივნისმაგვარი და სიმსივნური წარმონაქმნები“** - ჩატარდება უნივერსიტეტში.

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაციის პროგრამის 1, 3, 5, 7 სემესტრის სტუდენტებისათვის შუალედურ გამოცდებამდე (მე-7 კვირა) ყველა საგანში პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება ონლაინ ფორმატში, ხოლო შუალედური გამოცდების შემდეგ, ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენეტები ჩატარდება საუნივერსიტეტო სივრცეში.